№ 162

შაბათი, 9 აგვისტო 1897 წ.

**ᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227·

1877—1897

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 162

შაბათი, 9 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჭღირს 5 მან. 50 კაპ.

**ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ**

## ᲡᲞ. Ბ. ᲯᲝᲠᲯᲘᲙᲘᲐᲡᲘ

(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პრო-გიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სურეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან.

(10—6.—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
**Მ. ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡ** გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა
აკაკისა

## ᲜᲐᲗᲔᲚᲐ

(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
**ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲝ ᲐᲑᲐᲖᲘ.**
ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს-და ღ,ებითაც გაეგზავნებათ. (10—145—6)

### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჭსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

**ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12. სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს.

(10—უ—2)

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

—

გადაყვანილ იქმნა: სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი, მე-V კლასის მოხელე, ნადვორნი სოვეტნიკი მაჭარაშვილი—ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

გამწესებულ იქმნენ: დუშეთის სამაზრო საპატიმროს ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებელი, კოლეჟსკი რეგისტრატორი კონსტანტინე ჯაფარიძე—ბაქოს საპატიმროს ზედამხედველად; ტიტულიარნი სოვეტნიკი გიორგი კვალიაშვილი—ბორჩალოს მაზრის, ლორის ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად; აზნაური ივანე მაჭავარიანი—კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე-VI ხარისხის მოხელედ; მაქსიმე ნადირაძე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად და ალექსანდრე ბახტაძე—ალსტაფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად; ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-III ხარისხის მოხელე, კოლეჟსკი ასესსორი იაგორ ჟღენტი—სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწედ.

გადაყვანილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე მელქისედექ ხოხიაშვილი, ქუთაისის—ფრანცისკო დურგალოვი და ხაშურის—იოსებ მესხი—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად, პირველი—სოხუმისა, მეორე—ხაშურისა და მესამე—ქუთაისის კანტორისა; ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსანდრე ჯაფარიძე—მცხეთის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონად და მცხეთის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი დავით მიქაბერიძე—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების ზედამხედველის ბ-ნის ნ. გ. ტატიშვილის შუამდგომლობით საქართველოს ექსარხოსს ვლადიმირს ნება დაურთავს, რომ ავლაბარში წმ. მარინეს ეკკლესიასთან სკოლის შენობაში ცენტრალური საკვირაო სკოლა იქმნას გამართული. საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ ხსენებულს სკოლაში უკვე მიიწვია მასწავლებლებად: ქ-ნი ანნა გ. ხახუტაშვილისა, ბ-ნი ონ. ჭიკაძე და ივ. შუაქრიშვილი. სკოლაში მიიღებიან ყველა მართლ-მადიდებელნი სქესისა და წლოვანების განურჩევლად. სწავლა სექტემბრიდგან დაიწყება.

*** ფერის-ცვალების დღეს დარიის მონასტერში, წირვაზედ, სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ხორო გალობდა მღ. ვას. კარბელაშვილის ლოტბარობით. მონასტერში ამ დღეს მრავალი მლოცველი იყო.

*** ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექციასთან მესამე ინსპეტორის თანამდებობა თურმე არსდება, როგორც „ტფ. ფურც."-ი სწერს. მიზეზი ამისა ის გარემოებაა, რომ დღეს ორი ინსპექტორი წელიწადში ერთხელ ყველა სასწავლებლების რევიზიას ვერ ასწრებსო.

*** სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს უკანასკნელს სხდომაზედ, სხვათა შორის, ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ გადამდებ სენით ავადმყოფ ბავშვებისათვის სამუდამო სამკურნალო იქმნას დაარსებული, რადგანაც დღემდის ქალაქს ავლაბარში მხოლოდ დროებითი სამკურნალო აქვს. ეს დროებით სამკურნალო 1-ლ იანვრიდგან სრულიად უნდა გაუქმდეს. საბჭოს წევრებმა ერთხმად აღიარეს საჭიროება ასეთის სამკურნალოსი და გარდასწყვიტეს ამ საგნის შესახებ ქალაქის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დაიწყოს. სამკურნალოს, როგორც ანგარიშიდგანა სჩანს,

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

### ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ

(პასუხად „კვალის" რედაქციას)

(დასასრული *)

„კვალის" ხელმძღვანელი გვაჯერებს ჩვენ, რომ ნამდვილი მამულიშვილობა მხოლოდ თავად-აზნაურობაში იპოვებოდა და იპოვებაო და გლეხობა კი მოკლებული იყო და არის ამ უმაღლესს გრძნობასაო. ამას ქადაგებს ის ვაჟბატონი, რომელმაც თავისი თავი დიდი ხანია გამოაცხადა მესამე დასის მეთაურად, იმ დასისა, რომლის ძირითადი მცნება წმინდა დემოკრატიულია. ამ დასს უთუოდ აზრად არ მოუვიდოდა, რომ არა მკითხე მოთავე მოტრფიალეა წოდებრივ კუდაბზიკობისა ძ იმ პრინციპისა, რომელიც წინადაც ასუსტებდა ჩვენს ქვეყანასა, ახლაც აუძლურებს და შემდეგში საფლავს გაუთხრის მას, თუ ეს პრინციპი დანიავებულ არ იქმნა და შრომის და პატიოსნების პრინციპის ქვეშ არ გაერთდნენ ყველა ჩვენი წოდებანი. სომხების მოყვარულს გიორგი წერეთელს სწორედ ის გამოჰპარვია მათი არსებობიდგან, რაც მათ მტკიცედ აკავშირებს, ერთიან ერად ხდის და შეადგენს მთავარს ძალას მათი წარმატებისას—ვიწრო წოდებრივის პრინციპის უარ-ყოფა. თავისი მეგობრების მთავარ ღირსებისათვის ზურგი შეუქცევია და მათი ნაკლულევანების შეთვისებას-კი გვიქადაგებს. ჭკუაც ასეთი უნდა.

ჩვენ არა ერთხელ გვილიარებია ხმა-მაღლა ქართველი თავად-აზნაურობის დიდი ისტორიული ღვაწლი, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ თავანკარი, წმინდა მამულიშვილობა უფრო გლეხებში მოიპოვებოდა და მოიპოვება, ვიდრე მაღალ-წოდებაში. თავადი და აზნაური უპირველესად ყოვლისა თავ-მომწონეა, მას თავისი თავი დაბადებიდგანვე რჩეულ არსებად მიაჩნია, ქვეყნის მარილად და პირადი სახელოვნობა თავის კერპად აქვს დასახული. როცა თავადი, ან აზნაური სწირავს თავისს თავს ქვეყანასა, იგი მოელის სახელ-განთქმულობას, მუდმივ ხსოვნას ჩამომავლობაში, ქვეყნიურს უკვდავებას—ერთი სიტყვით დიდ ჯილდოსა. ხოლო როცა გლეხი ქვეყნის მტრებს აკლავს თავსა, იგი არ მოელის არც სახელს, არც ქვეყნის ტაშს, არც სხვა რამე ჯილდოსა. იგი ასრულებს წმინდა მოვალეობას სინიდისის, ქვეყნის და ღვთის წინაშე. პირველ შემთხვევაში თავდადებულობაში ურევია ეგოიზმი, როგორც წმინდა პურში მახობელი, მეორე შემთხვევაში-კი ეგოიზმს ადგილი არა აქვს, პური სავსებით უმახობლოა. ავიღოთ, მაგალითად, კრწანისის ბრძოლა და ვიკითხოთ: ვინ უფრო ძლიერი და წმინდა მამულიშვილობა გამოიჩინა აქა? მიუცილებლად იმ სამასმა გლეხმა კაცმა, ფშავ-ხევსურმა, რომელთაც ერთმანეთს მტკიცე ფიცი მისცეს ომის წინ: ან გავიმარჯოთ, ან სულ ყველანი მტერს შევაკვდეთო,—და კიდევაც აასრულეს თავისი წმინდა ფიცი ისეთის თავდადებულობით, რომლის უკეთესს მთელს მსოფლიო ისტორიაში ვერ მოსძებნით. ყველა მათგანმა უკანასკნელ კაცამდე თავი შესწირა მამულსა, ყველამ კრწანისის ველზედ დალია გმირული სული მამულის გულისათვის. არც სახელი და არც გვარი მათი არ დარჩენილა ისტორიაში და არც იმედი ჰქონდათ ამისი მათ. აი მაგალითი ჩუმი, შინაგანი, ინტენსიური წმინდა მამულიშვილობისა. ამისთანა თავანკარა მამულიშვილობით სავსეა წარსული ცხოვრება ჩვენი გლეხობისა. ამავე გლეხობას ეკუთვნოდა, როგორც გარემოებიდგანა სჩანს, თავდადებული თევდორე მღვდელი, რომელმაც თავისი თავი და თავისი ცოლ-შვილი შესწირა მამულსა და მეფესა.

აი კიდევ მეორე მაგალითი, რომელსაც უფრო მახლობელი კავშირი აქვს ინგილო ქალის ამბავთანა. ქართლის მეფე სიმონ, დამარცხებული სამეგრელოს ჭაობებში, მარტოდ-მარტო წამოვიდა თბილისისაკენ, გადმოიარა კორტოხი, ჩამოვიდა ქართლში და კავთისხევს რომ მოუახლოვდა, ღამემ უსწრო. ამ სოფელში მაშინაც სცხოვრობდნენ და ეხლაც სცხოვრობენ თავადნიც და აზნაურნიც. მაგრამ მან ამათ ყველას გვერდი აუქცია და ესტუმრა გლეხის ქვლივიძის ოჯახსა. ეს გლეხი და მისი უფროსი შვილები სალაშქროდ იყვნენ მაშინ სამეგრელოში სვიმონ მეფის ჯარში, და ამიტომ სტუმარი მიიღო გლეხის ცოლმა, რომელმაც მეფე ვერ იცნო, რადგანაც არც ენახა და უბრალო ტანისამოსიც ეცვა. დიასახლისი მიეგება ქართველურის სტუმართ-მოყვარეობით და გულუხვად გაუმასპინძლდა. როცა გაიგო, რომ სტუმარი ლაშქრობიდგან მოდიოდა, ჰკითხა თავისი ქმრისა და შვილების ამბავი. სტუმარმა მათი არაფერი იცოდა და ვერაფერი უპასუხა. მაშინ ამ გლეხის, ტეტიის ცოლმა წარმოსთქვა: ნეტავი ქვეყნის პატრონი მეფე ღმერთმა დაიფაროს და ჩემი ქმარ-შვილნი თუნდა სულ მას ენაცვალნენო. მეორე დილას სტუმარი გაემგზავრა თბილისისაკენ. ცოტა ხანს შემდეგ ამ ქალის ქმარს სვიმონ მეფისაგან აზნაურობა მოუვიდა. მხოლოდ მაშინ შეიტყო გლეხის ცოლმა, თუ ვინ ყოფილიყო მისი უცნობი სტუმარი. ეს მაგალითი მოწამეა იმისი, რომ მამულის სიყვარული, ქვეყნის პატრონის—მეფის ერთგულება იმდენად ძლიერი იყო ორივე სქესის გლეხთა შორის, რომ სჭარბობდა საკუთარის სახლობის სიყვარულსა, ამ უძლიერესს პირადს გრძნობას ადამიანისასა. მეორე მხრივ ეს ამბავი გვიჩვენებს, თუ რა პატრიარქალური, მამაშვილური ურთიერთობა და კავშირი სუფევდა ჩვენს მეფეთა და გლეხთა შორის.

ეს ურთიერთობა მოშორებული იყო იმ სამარცხვინო კუდაბზიკობას, რომელიც გლეხთა კრებულს ეძახის ტეტიათა გროვასა, და რომელიც ამას წინედაც ცხადად გამოიჩინა ბ. გიორგი წერეთელმა, როცა დაბეჭდა „კვალის" ფურცელზედ: მარგალისკუა ნიშნავს გლეხსა და ბ-ნ გუნიას შესახებ ეს სიტყვა ვიხმარე ზიზღის გამოსათქმელადაო. მისი აზრით, გლეხი სალანძღავი, საზიზღარი სახელი ყოფილა. ყოჩაღ, მესამე დასის არა მკითხე მეთაურო. ამას სამარცხვინოდ მიიჩნევდა თვით უკიდურესი მოტრფიალე აწ განსვენებულის ბატონ-ყმობისა, სამარცხვინოდ მიიჩნევდა თვით ლუარსაბ თათქარი-

*) იხ. „ივერია", № 161.

7,000 მან. ფული დასჭირდება. სასანიტარო-სამკურნალო საბჭო ამ რიგად აპირებს ამ ფულის გადახდას: მუშათა სამკურნალოსათვის გადადებულ ფულიდგან 2,000 მან. აიღოს სესხად და დანარჩენი 5,000 მანეთიც ავლაბრის საბავშვო სამკურნალოს დარჩენილ ფულიდგან დაჰფაროს.

*** ქალაქის სასანიტარო ნაწილის დებულების მე § 7-ის ძალით, ქალაქის საბჭოს ექიმებს ნება არა აქვთ, რომ ქალაქის შეუძლებელ მოხელეთ წამლობაში ფული გამოართვან და პირდაპირ ევალებათ, მუდამ უსასყიდლოდ უწამლონ. ახლა, როგორც გაზ. „ტფ. ფურც.“-შია ამბად მოყვანილი, ქალაქის ექიმებს სხდომა და სჯა ჰქონიათ იმის შესახებ, თუ სახელდობრ ვის და როგორს შეუძლებელს არ უნდა გამოართვან სასყიდელი, ბევრი ულაპარაკნიათ, თავი უტეხიათ და დაუდგენიათ,—მიჰმართონ ქალაქის გამგეობას, რომ სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს დაეკითხოს, ვინ ჰყავს სახეში ასეთ შეუძლებლად ქალაქის თვით-მმართველობის მსახურთაგან...

ასეთს საქციელს განმარტება აღარ უნდაო, სწერს „ტფ. ფურც.“, იგი თავისს სიავ-კარგეს თვითვე ჰლაღადებსო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავარმართებლის შუამდგომლობისა გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 ვეითალსა ჰგზავნის ამიერ-კავკასიაში, რათა თვალ-ყური ადევნონ, რომ სპარსეთიდგან და ოსმალეთიდგან საქონლის ჭირი არ იქმნას გადმოტანილი. მათ შორის ორი ვეითალი ქუთაისის გუბერნიაში იქმნება გაგზავნილი ოროჯასა და ართვინში, სამ-სამი—ბაქოსა და განჯის გუბერნიებში და ორიც—ერევნის გუბერნიაში.

*** განჯიდგან სწერენ „Новое Обозр“., რომ კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-ლეიტენანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა ნება დართო მიეცეს მოკლულის ყაზახის ბოქაულის თავ. აბაშიძის ქვრივს 500 მანეთი.

*** სურამში, როგორც იქიდგანა გვწერენ, ქუნთრუშა გაჩენილა. ამ ჟამად ქუნთრუშით ორი ბავშვიაო ავად.

*** ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას რიყის ქუჩის სახლის პატრონების თხოვნა, რომელნიც ეს ორი წელიწადია ეხვეწებიან ქალაქის გამგეობას, რიყეში არხები გაიყვანეთო. ამასთანავე გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ მან ეს თხოვნა ქალაქის საბჭოს გადასცეს განსახილველად. გამგეობის მინდობილობით ქალაქის ტეხნიკოსმა ს. ა. მუხარინსკიმ უკვე შეადგინა პროექტი რიყეზედ არხების გაყვანისა და იმისის ანგარიშით ამ საქმეს სულ 16,200 მანათი დასჭირდება. თავისის მხრით ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა რიყის სახლის პატრონთა შუამდგომლობა, დაადგინა: განათავისუფლოს ისინი იმ ხარჯისაგან, რომელიც ეძლევა ტეხნიკოსს საქმის ყურის გდებისათვის და აღარ გამოერთვათ ის 5 მან. გარდასახადი, რომელიც ყოველს სახლის პატრონს ერთმევა შენობის ქუჩის მხარე ნაწილისათვის.

*** სოფ. ქვემო-მაჩხაანი: ამ ორს კვირაში ორჯერ გამართა უფასო წარმოდგენები ქვემო-მაჩხაანის სცენაზედ ქვემო-ქიზიყის ახალგაზდობამ და ორჯელვე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო ყველა სოფლებიდგან. წარმოდგენების ბოლოს იმართებოდა ტკბილ დუდუკ-დოლ-დაირაზედ საუცხოვო ცეკვა ქალ-ვაჟთა. მოკლე ხანში აქ კიდევ აპირებენ ფასიან წარმოდგენის გამართვას ქვემო-მაჩხაანის მომავალი სამრევლო ქალთა სკოლის სასარგებლოდ.

*** ს. მარტყოფი. იქნება რვა-ცხრა წელიწადი, რაც ჩვენ სოფელში ქურდობა მოისპო. ყველას უხაროდა და ამბობდა: „ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი მაზრის უფროსი და მამასახლისიც, მაგათის შიშით თათრები ველარას გვიბედავენ და ჩვენთვის მოსვენებითა ვართო“; მაგრამ ამ წელს-კი ისევ დაიწყეს საქონლის ქურდობა. თუმცა აქაურები თათრებს აბრალებენ ქურდობას, მაგრამ ისიც-კი ნამდვილია, რომ ჩვენ სოფელშიაც ბევრნი არიან, რომლებსაც ამხანაგობა აქვთ თათრებთან. თვითონ თათრები-კი ძალიან იშვიათად შემოდიან ხოლმე სოფელში. ესენი შეაგულებენ დღისით საქონელს. მივლენ ღამე და გაურეკავენ თათრებს, რომლებიც სოფელს გარეთ უცდიან. მეორე დღეს-კი არხეინად დაბძანდებიან სოფელში და ლაპარაკობენ: წუხელის ამა-და-ამის ხარი, ძროხა, ანუ ცხენი მოუპარავთო. ივლისის პირველ რიცხვებიდგან დღემდის 15 სულზედ მეტი მოუპარავთ ცხენი, ძროხა, ხარი და სხვა საქონელი. თუ რამდენად მართალია ის, რომ მეტი ბრალი ქურდობისა ამავე სოფლელებს სძევთ და არა თათრებს, ამას ერთი შემთხვევა ამტკიცებს. 21 ივლისს ერთი ჩვენი სოფლის მცხოვრები გლეხი, იაგორ ფურცელაძე, წასულა ცხენით ყანის სამკელად, თან წაუყვანია მოჯამაგირე ბიჭი, თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა. ცხენი დაბლა ხევში დაუბმევინებია და ბიჭი-კი წყალზედ გაუგზავნია. მანამდის ბიჭი წყლიდგან მობრუნდება, სულ არ გასულა ნახევარი საათი, ცხენი დაიკარგა თურმე. ბევრის ძებნის შემდეგ ცხენი იპოვეს იმავე ხევში ორის ვერის სიშორეზედ, დიდის თოკით დაბმული და ფეხებ გახლართული. იმისი შნო და მოხერხება-კი არა აქვთ, რომ, როცა საქონელს დაჰკარგავენ, ან მოსძებნონ და ან გამოუცხადონ ბოქაულს ან კიდევ ადგილობრივ მოხელეებს, მის მაგიერ მირბიან მკითხავთან, შეგვიტყე ჩვენი საქონელი ვინ მოიპარაო. მოხერხებული მკითხავიც იმას ეუბნება,—ხარები-კი დაუხოციათ და ცხენები ისევ ცოცხლები არიან, ჯვარედინა გზაზედ წაუსხავთ, თუ ამ სამს დღეს იპოვეთ, ხომ კარგი, თუ არა და, მერე ძებნა ტყუილი იქნებაო. რამდენს კაცს შემოუჩივლია, უნდა ცხენი გავყიდო, თორემ ცოტა თვალსაჩინო საქონელია და, ხომ იცით, ბოროტი კაცი და ქურდი ბევრია, ვიცი არ შემარჩენენ, მომპარავენ და ფულს მაინც გამოვიყენებო. ასეთს მდგომარეობაში ვართ ეხლა და არ ვიცით, რა ღონის ძიება ვიხმაროთ ქურდ-ბაცაცების წინაალმდეგ.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

სასკოლო ჰიგიენის ლექცია დაწყებულ იქმნა ბ-ნ ა. ა. პროზოროვსკის მიერ მოკლე საგულისხმიერო წინასიტყვაობით: მასწავლებელი ტრიალებს მდაბიო, შედარებით განუვითარებელ ხალხში, რომელიც მასწავლებლებისაგან დიდ მოთმინებასა და სულგრძელობას ითხოვს. ხალხი დაიახლოვებს, შეითვისებს მასწავლებელს მხოლოდ კარგა ხნის გამოცდის შემდეგ. ხალხთან დაახლოვების გასაადვილებლად აუცილებლად საჭიროა, მასწავლებელი ხალხის ყოველს გაჭირვების მზრუნველ-მეთაური იყოს. მდაბიო ერის უდიდესს მოთხოვნილებას, სხვათა შორის, შეადგენს დახმარება ავადმყოფობის დროს. ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, საშკოლო ჰიგიენის გარდა, განვიხილო ის თვალსაჩინო ავათ-მყოფობანიც, რომლითაც არამც თუ ყმაწვილნი, არამედ ხანში შესულნიც დიდად ზარალდებიან. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ფრინველთა ანუ ცხოველთა ცხოვრებისთვის, ცხადად შეამჩნევდა, თუ როგორის სიფრთხილით და ყურადღებით უვლიან თავიანთ შვილთ, როგორ სცდილობენ თავიანთ ჯიში შეინახონ, და ნუ თუ ჩვენ, ღვთისგან დედამიწის მეუფედ შექმნილთ, არ გვმართებს ჩვენსავე მოძმესათვის ვიზრუნოთ? ადამიანთა დაუდევრობისაგან არის დამოკიდებული ხალხის ათასგვარი სიმახინჯე და ბოლოს მისი თან და თან ამოწყვეტაც. უყურადღებობით ას ბავშვში პირველ წელიწადს იხოცება 25, ხუთ წლამდის აღწევს 25-ღა, ადამიანის სულიერად და ფიზიკურად განვითარებისათვის დაბადებიდგანვე უნდა ჰზრუნავდნენ. დაბადებისათანავე ჰაერს, სითბოს და სინათლეს ბავშვზედ დიდი გავლენა აქვს. რაც სუფთა ჰაერია, მით უმჯობესია. ჰაერი ძალიან ფუჭდება ადამიანის ამონასუნთქით. თუ მშობიარობის დროს ბევრნი არიან შეკრეფილნი ოთახში, ჰაერი ფუჭდება და ბავშვის ნერვებზედ ცუდად ჰმოქმედობს. საკმარისია ჰაერში $1^0/_0$-$2^0/_0$ ნახშირმბადი ერიოს, რომ ბავშვს ხველა, სურდო და თავის ტკივილი აუტყდეს. ხშირად ბავშვი ამ მიზეზით კვდება კიდეც.

პირველ ხანებში ახალ დაბადებულ ბავშვთათვის საჭიროა $15^0$-$16^0$ სითბო რეომ. ტერმ. დიდი სინათლე თვალებს უფუჭებს, სასურველია ახალს დაბადებულს თვალები აეხვიოს. ახალ დაბადებულ ბავშვს ხშირად სიცოცხლის ნიშნები არ ეტყობა. მისი გამოცოცხლება შეიძლება სხვა-და-სხვა გვარად: ბავშვს იღლიებში უნდა ჩაეჭიდოს ხელები და იქნიოს 15-20 წუთის განმავლობაში. ცხვირი დაუზილონ ნიშადურის სპირტით, ან ცხვირზედ ხელი მოუჭირონ და პირში ჩაჰბერონ, ყოველ შემთხვევაში პირი ლორწოსაგან გაწმენდილ უნდა იქმნეს. პირველ 5-6 საათის განმავლობაში კვება საჭირო არ არის, დანარჩენ დროს ყოველ ორ საათში ერთხელ მაინც უნდა მიეცეს საკვები, თუ მომეტებულად არა. მეცნიერებაში უკეთეს საკვებად დედის რძეა აღიარებული. დედის რძით ნაკვებ ბავშვთა შორის ასზედ 50-კვდება,

---

ძე, თვით მეშჩერსკი, რედაქტორი რეტროგრადული „Гражданинъ“-ისა. ჩვენდა სასიხარულოდ, უმრავლესობამ ჩვენის თავად-აზნაურობისამ დიდი ხანია ზურგი შეაქცია ვიწრო წოდებრივს პრინციპსა და მტკიცედ დაადგა უკვდავი რუსთაველის მცნებასა: თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა. თავად-აზნაურობა წინ მიდის, ბ-ნი გიორგი წერეთელი-კი ისეთი სისწრაფით გარბის უკან, რომ თავის კუდაბზიკას, მგზავრის წერილებში გამოყვანილს, უკან მოექცა. აბა ამაზედ არის ნათქვამი: „სიბერემდის სიქაჩლე გეწეროსო“. მართლა და რა დღეს მოესწრო ჩვენი კრიტიკანი: კუდაბზიკობის მასხარად ამგდებელი ყმაწვილობაში, თავისს სიბერეში შეიქმნა მოტრფიალე ამ სამარცხვინო კუდაბზიკობისა. ასეთი დახავსება იცის კაცისა ბრმა ბოროტებამა!

ნათქვამიდგან მკითხველი დაინახავდა, რომ იმ დროს და იმ გარემოებაში, რომელშიაც იმყოფებოდა საინგილო წარსულს საუკუნეში, ძლიერ შესაძლებელი იყო გაჩენილიყო და აღზრდილიყო გლეხთა შორის (თავად-აზნაურობა არც მაშინ იყო საინგილოში და არც ეხლა არის) სწორედ იმისთანა უშიშარის ხასიათის გოგო, იმისთანა მამულის მოყვარული, როგორადაც დავასურათეთ ჩვენ ინგილო ქალი. ვგონებ, რომ ბელეტრისტულს ნაწარმოებს სინამდვილის მხრივ ამაზედ მეტი არ მოეთხოვება არც ჩვენში და არც სხვაგან. ყველა შეგნებულს მკითხველს მოეხსენება, რომ ისტორია მოგვითხრობს მას, რაც იყო, მოხდა, ბელეტრისტიკა კი გვიხატავს მას, რაც შესაძლებელი იყო წინედ, ან ეხლა ამა, თუ იმ გარემოებაში. ბელეტრისტული შესაძლებლობა ჩვენგან მოთხრობილი ამბებისა იმითიც ძლიერდება, რომ მოთხრობა არის აშენებული ისტორიულს თემაზედ, ფაქტზედ.

### III

ინგილო ქალის გარდა, კრიტიკანები წუნსა სდებენ ჩვენის მოთხრობის მეფე ერეკლესაც. ქართველი მკითხველი რო წაიკითხავს ამ ამბავსაო, იტყვისო, ეს ან ზღაპარია, ან მეფე ერეკლე იმისთანა არა ყოფილა, როგორც აქამომდე გვეგონაო. მერმე და რითი არა ჰგავს ჩვენი ერეკლე ისტორიულსა? ნუ თუ იმითი, რომ თავისი მრისხანე თვალით ხიდგან ვერ ჩამოაგდო ინგილო გოგო? მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მრისხანე თვალი მოგონილია რედაქციისაგან. იგი ჩვენს მოთხრობაში სრულიად არ მოიძებნება. თავის მეფურს რისხვას ერეკლე აგრე უბრალოდ როდი ხარჯავდა. დიდი მიზეზი იყო საჭირო, რომ ეს რისხვა გამოეწვია. მოულოდნელმა ქლიავის თავზედ დაყრამ მხოლოდ გააოცა მეფე და არა განარისხა. ან იქნება მეფე ერეკლეს არ შეშვენის ის ალტაცება, რომელიც მან გამოიჩინა, როცა დარწმუნდა, რომ პატარა გოგოს ხელს თურმე ამოძრავებდა არა მტრობა მისი, არამედ ძლიერი პატრიოტული გრძნობა და სიყვარული მეფისადმი? აი სწორედ მაშინ არ ეგვანებოდა იგი ნამდვილს ერეკლეს, თუ ამ ალტაცებას არ გამოიჩენდა. მართლა და რა უნდა იყოს იმაზედ სასიამოვნო გმირი მეფისათვის, როდესაც იგი თავისი სამეფოს განაპირა კუთხეში, რომლის მოგლეჯას ყოველ დღე ცდილობდნენ მტერნი, ხედავს თორმეტის წლის გოგოში ძლიერს სიყვარულს მამულისას, და ეს სიყვარული იხატება მეტად თავხედურს ბავშურს გაბედულობაში? განა მეფეს არ გაურბენდა აზრი ამ შემთხვევის გამო: იმ კუთხეს, რომელიც შობავს და ზრდის ამისთანა უშიშარს შვილებს, ვერა მტერი ვერ მოგლეჯს საქართველოსაო. ან იქმნება მეფე ერეკლეს ამცირებს ის გარემოება, რომ პატარა გოგომ უკიჟინა და დაუწუნა სპარსულის ჩალმის ტარება? დაამცირებდა მხოლოდ მაშინ, თუ ეს დაწუნება სწყენოდა მეფესა. სამაგიეროდ, ქალს ეს საქციელი ძლიერ მოუწონა მეფემა და კიდევაც დაასაჩუქრა. ჩვენ კარგად ვგრძნობთ, თუ რა ამდაბლებს ჩვენის კრიტიკანების თვალში მეფე ერეკლესა. მან დიდი პატივი სცა გლეხის ქალის მამულიშვილობას, აქო, დაასაჩუქრა, მზითევი გაუგზავნა შემდეგში და შვილებიც მოუნათლა. ამაზედ დიდი დამცირება მეფისა განა შეიძლება კუდაბზიკურის პრინციპის მოტრფიალეთა თვალში? მაგრამ ხალხის თვალში და ყველა შეგნებული მკითხველის თვალში ეს საქციელი დიდ პატივსა სდებს მეფე ერეკლეს და ამაღლებს მას, მით უმეტეს, რომ სრულიად შეესაბამება იმ მამობრივს სიყვარულს გლეხთა მიმართ, რომლითაც იყვნენ შემკულნი წარჩინებულნი მეფენი საქართველოისანი.

ამისთანა არ უნდა იყოს სახალხო მოთხრობაო, ბრძანებს ბ ნი გიორგი წერეთელი. მაშ რანაირი უნდა იყოს? უთუოდ „რუხის მგლის“ მსგავსი. ზოგი მკითხველსა ჰკითხონ. თვით „კვალის“ ერთგულ მკითხველებს ეს „რუხი მგელი“, მიაჩნიათ ფუქსავატ ნაცოდილარად, რომელიც იოტის ოდენა საზრდოს არ აძლევს არც გონებას, არც გულს, არც ხასიათს და არც ფანტაზიას კაცისასა. აკი იმიტომაც ვრცელდება ხალხში ისე სწრაფად, რომ თუ ოცის წლის განმავლობაში გაიყიდა პირველი გამოცემა, მცირე რიცხვით დაბეჭდილი, ავტორმა ღმერთს დიდი მადლი უნდა შესწიროს. თუ იგი იმედოვნებს, რომ სხვისი ნაწარმოების გაკიცხვით და დაფოლებით ჩემსას გზას გავუხსნიო, ძლიერ მატყუებული ბრძანდება, რადგანაც ერთ ცოდოზედ მეორე ცოდოს დამატება პირველ ცოდოსაც ამძიმებს საზოგადოების თვალში და თვითონ ცოდვილსაც ამცირებს. რედაქცია მიწუნებს აგრეთვე სურათებს მოთხრობისას. პირველი სურათი იმითია თურმე დასაწუნი, რომ ნათხოვარია. მეორეს ხელოვნებას უწუნებენ. არც ჩვენა ვართ კმაყოფილნი ამ სურათით, მაგრამ რას იზამს კაცი. იგი დავახატინეთ მიუნხენის აკადემიაში კურს დამთავრებულს ხელოვანს მხატვარს ბ. ზალცმანს, ამოვაჭრევინეთ ბზაზედ ბ-ნს ტატიშვილს და დავხარჯეთ 17 მანეთი; მაგრამ უკეთესი არ გამოვიდა. რამდენად ძნელია ჩვენში დახატვა კარგი სურათებისა, სჩანს იქიდგან, რომ „კვალში“ დასურათებული ქართველები სულ ჭირიან ქათმებსა ჰგვანან, ასე, რომ თუ უცხოელმა ქართველები ამ სურათებით გაიცნო, იმ აზრზედ დადგება, რომ ამისთანა მახინჯი, მხდალი, გაციებული და გამოთაყვანებული ხალხი ძნელად მოიძებნება ქვეყნიერებაზედაო. ეს

უდედის რძეოთ 75. თუ შესაწყნარებელ მიზეზთა გამო დედას არ ძალუძს ბავშვის გამოკვება, ძიძამ უნდა ჰკვებოს, ან თუ არც ეს არის შესაძლო, ვირის ანუ თხის რძე უნდა იხმარონ და არა ძროხისა. ძროხის რძე ნოყიერი და სქელია, ვირისა და თხისა—უფრო თხელი და ადვილად მოსანელებელი. თუ რძე დარჩა პირველ ხმარების შემდეგ, იგი ხელ-მეორედ კიდევ უნდა ადუღდეს, რათა მავნებელი ნივთეულობა არ შეჰყვეს. საუბარი იყო ჩვენებურ აკვნებსა და იმის ღირსება-ნაკლულევანებისა, ხაშხაშისა და იმისთანა მაგარ სასმელების ხმარების შესახებ, როგორიც არის ღვინო და ბავშვის ბანაობის გამო. ბავშვის ჟინიანობის დასაყუჩებლად ჩვენში ჰხმარობენ ხაშხაშს, იგი-კი მავნებელია და როგორც ბავშვის ჯან-მრთელობასა, აგრეთვე გონების სისაღეზედაც დიდი გავლენა აქვს. სისხლის გაფუჭების გარდა, იგი ნაკლებად ჰგზავნის სისხლს თავის ტვინის საკვებადაც და მთელის სხეულისთვისაც. სასმელები გონებას აჩლუნგებს. ბავშვთა საბანაო წყლის სითბო 28° უნდა იყოს, ჩვენებურად ნელ თბილზედ ცოტა მოცხელო.

ბ-ნ ი. ი. ფერაძის მორიგ ლექციას საგნადა ჰქონდა მოსწავლე, როგორც ფრიად საყურადღებო შესასწავლი მასწავლებლის მხრივ. „ძალიან ბევრი, მართლა ნიჭიერი ბავშვი იღუპება იმის გამო, რომ მასწავლებელს ვერ გაუცვნია და შესაფერი ღონისძიება არ უხმარია, პირიქით, თვისი უდიერის ყოფაქცევით, როგორიც არის მასწავლებლისაგან ხშირად ხმარებული „უნიჭო ხარო“ და სხ. ხელი შეუწყვია ბავშვის დავთრების არევ-დარევისათვის. ბავშვნი სხვა-და-სხვა თვალ-საჩინო და უჩინარ თვისება-ხასიათისანი არიან. რაც ერთზედ ჰმოქმედობს, მეორეზედ ვერ იმოქმედებს, თვითოეულს ბავშვს თითქმის თავისებური ხელის შეწყობა სჭირდება. უკეთუ ეს არ შესრულდა, სწავლა თავისს ნიადაგზედ ვერ დადგება და ჯეროვანს ნაყოფს ვერ მოიტანს. მასწავლებლის ძალ-ღონე სწორედ ამას უნდა ჰქონდეს მიქცეული და ამითი უნდა იწყებოდეს სწავლის ნიადაგი“.

სანიმუშო გაკვეთილები იყო საღმრთო-სჯულისა, რუსულის ენისა, არითმეტიკისა და რუსულის გალობისა. გარჩეულ იყო ორი პირველი სანიმუშო გაკვეთილი. პირველი გაკვეთილი ჰქონდა მასწავლებელ კაცსა და მეორე—მასწავლებელ—ქალსა. განხილვამ ქალის გაკვეთილი ჩინებულად სცნო. ქალებმა აქაც უნარი გამოიჩინეს. საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველ ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილის მიერ უკამათოდ დადგენილ იქმნა: „პირველ წელიწადს ლოცვა უნდა ისწავლებოდეს მეხანიკურად, აზრის შეუგნებლადაო.“ ჩვენის ფიქრით ლოცვის შინაარსის ახსნა დედა-ენაზედ საადვილოა და, რამ გამოიწვია ასეთი დადგენილება, ძნელად მისახვედრია. არითმეტიკის სანიმუშო გაკვეთილს დაესწრნენ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი და გაკვეთილებს-კი არქიმანდრიტი ლეონიდი.

მ—შვილი

## წერილი ქიზიყიდგან.

„ბრძოლა, ძმანო; ბრძოლა მამა-პაპური, თორემ ჩარჩთგან იღუპება მამული!“-აი ეს პოეტის ერთის სიტყვით შეცვლილი ნათქვამი უნდა გავიხსენოთ დღეს ყველამ მოქმედების დევიზად და დროზედ დავიხსნათ ხალხი ორ ფეხა ნადირთაგან, მით უმეტეს, რომ თვით უმაღლესმა მთავრობამ მოგვანიჭა ამის სამოქმედო პროგრამა და უფლება, რადგანაც ღრმად დარწმუნდა იგი, რომ ქვეყნის უმრავლესობა წურბელა ვაჭარ-მოვახშეებმა აოხრეს, აატიალეს და აავერანეს. პოეტის ხსენებულივე ნათქვამი გაუხდიათ დღეს დევიზად ქიზიყელთაც და, გაიგეს თუ არა, სამინისტროს ქიზიყის დეპოს წესდება არ დაუმტკიცებია იმის მიზეზით, რომ დღეის შემდეგ ყველამ მთავრობის ახალი წესდება უნდა მიიღოს სამოქმედოდო, მაშინვე შეუდგნენ საქმეს, ე. ი. სამინისტროსაგან შემუშავებულს და წარსულს მაისის 13 ს დამტკიცებულ ნორმალურ წესდების მომხმარებელ საზოგადოებისას ცალკე წიგნაკად აბეჭდინებს ქიზიყის დეპოს გამგეობა და მალეც წარუდგენს გუბერნატორს დასამტკიცებლად.

რადგანაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ჰშიშობს და დაუმტკიცებელ საზოგადოებას ოფიციალურ კრების ნებას ვერ აძლევს, ამისათვის ქიზიყის დეპოს წლიური კრება და მომზადებული ანგარიშები დეპოს წესდების დამტკიცებამდის გადაიდო. შეუცვლელად წარდგენილი ნორმალური წესდება, რაღა თქმა უნდა, მალე იქმნება დამტკიცებული და მთავრობისაგან დამტკიცებულ საზოგადოების კრებაზედ უფრო ყველა წოდება სამსახურის კაცნიც თამამად დაესწრებიან, ქიზიყის ყველა სოფლებიდგანაც მრავალი ხალხი იქმნება მოწვეული, რომელთაც დაბეჯითებით ჩააგონებენ და აუხსნიან მათ საკეთილდღეოდ ახლად დამტკიცებულ საზოგადოების დიდს საგანსა და მნიშვნელობას.

ამ მოკლე ხანში ქვემო-ქიზიყის სამამასახლისოებმა დაადგინეს დასხლოვებით ამ გვარის შინაარსის განაჩენები: რადგანაც ს. ქვემო-მაჩხაანში რამდენმამე სომხის შეამხანაგებულმა ვაჭარმა გაჰმართა დუქანი და ბეჩავ ხალხის მისაზიდ-მოსატყუებლად დეპო დაარქვა და რადგანაც იმათ ანტიქრისტესავით მატყუარა ანტიდეპოში ქვემო-მაჩხაანის მამასახლისმა ორჯელ დაიჭირა მისხლებიდგან მოკიდებული ფუთამდის ყალბი პატარა გირვანქიანები და ყალბივე საწყაოები, რადგან ატყუებენ აგრეთვე უსულდმერთოდ ზომაშიაც, წონაშიაც, ანგარიშშიაც და საქონლის ღირსებაშიაც და მაინც კიდევ იზიდავენ ბეჩავ-ცხვარივით ხალხს ათასგვარი სამაცდურო მიტყუებით, მაგალითად: ორიოდე უწყებულ საგან-სავაჭროს თავნზედაც ნაკლებს აძლევენ, ხალხსაც ჰგონია, ეს რომ ასე იაფია, სხვებიც იაფად იქნებაო, მაგრამ ათასგვარ თვალის ამხმელ საგან-სავაჭროს-კი ერთი სამად ასყიდებენ ათას ნაირ ბოროტ-მოქმედებით, მოტყუებით და საოინბაზო საჩუქრებით (ან-კი რაღაში დაინდობს ადამიანს ის ადამიანი, რომელსაც არავისი ეშინიან და ხილულ გირვანქა-საწყაოებსაც კი ყალბ-პატარებს ამუშავებს), ამისათვის სოფლის საზოგადოებამ დავადგინეთ, ვინც ჩვენგანმა იმ ათასნაირად ხალხის მყვლეფავ ანტიდეპოში ივაჭროს რამ, ამა და ამ სასჯელ-მოქმედო საქმისათვის ესა და ეს ჯარიმა გარდაიხადოსო! ამ განაჩენის ძალაში შეყვანას აპირებენ მაშინ, როდესაც ქიზიყის სახალხო დეპოს წესდებას დაამტკიცებს გუბერნატორი, რადგანაც უნდათ განაჩენებშივე მიუთითონ ხალხს: მთავრობისაგან ჩვენს საკეთილდღეოდ დამტკიცებულ დეპოში ივაჭრეთ, რათა დიდად გაძლიერდეს ის საზოგადო საქმე, პირდაპირ რუსეთიდგან და პირველ წყაროდგან ეზიდოს ყოველგვარი საქონელი და უფრო იაფად გვასყიდოს ყოველნაირი სავაჭროებიო.

დიაღაც ქების ღირსნი არიან ქვემო-ქიზიყელები ასეთის გონივრულის განაჩენისათვის და სწორედ ასევე უნდა მოიქცნენ ყველა იმ სოფლის საზოგადოებანი, სადაც-კი დეპო არსებობს და დაარსდება, თორემ წურბელა ჩარჩ-ვაჭრების ათასგვარი სამაცდურო, ხალხის საყვლეფად გამოგონილი მანქანებიც, მათი დაუცხრომელი მტრობა-შურიც საზოგადო დეპოს მიმართ და თვით უვიცის ხალხის ავ კარგის შეუგნებელი სიბეჩავეც რომ იქით იყოს, ქართველებშიაც არიან ისეთნი, ეშმაკის კერძნი, ცივილიზაციის წამხდარ ნაძირალას ნაშე-ნუშენი ანუ, კითომ-და, განათლებულნი, რომელთაც, დეპოს გამგეობა-რევიზიის წევრებთან რომ პირადი რამ მტრობა ჰქონდეთ, ის მტრობა საზოგადო დაწესებულებაზედ გადააქვთ, ათასს ჭორსა და ცილს ავრცელებენ ხალხში და აჯერებენ, სახელსა და აზრს უტეხავენ საზოგადოების თვალში დეპოს და ყოველ დღე-ღამე იმ საზოგადო საქმის დამხობას ჰნატრობენ გულში, რომ მერე საზიზღარ ბოროტების ხარხარით და ნიშნის მოგებით წამოაყრანტალონ თავმოწონებულებმა: „ჰაი!.. აკი გითხარით, ისინი საზოგადო საქმეს დაჰღუპავდნენო და სხვანი.

დროა, ამ სენსაც მოელოს როგორმე და საზოგადო დეპოების მავნებლებს შინაურს თუ გარეულს ყველას შესაფერი საწყაოთივე მიეწყოს, რომ უფრო ადრე და მალე აღორძინდეს საქართველოში საზოგადო დეპოები.

ე. მ—შვილი

# რუსეთი

ს.-პეტერბურგის დედათა უმაღლესს კურსებზედ შესვლის მსურველთაგან თხოვნების მიღება 1-ლ აგვისტოდგან უკვე მოისპო. სულ ამ დრომდე 407 თხოვნა მიუციათ და 150 კიდევ მიელიან. კურსების დირექტორს ყურის მგდებლად დღემდის მხოლოდ 150 ქალი ჩაურიცხავს. ყველა ამათგანს საშუალო დედათა სასწავლებელი აქვს დამთავრებული მედალითა, ან შინაურ აღმზდელ-მასწავლებლის წოდებით. ამ რიგად 257 ქალის თხოვნა შეუწყნარებელი დარჩება, თუ საერო განათლების სამინისტრომ ნება არ დართო, რომ აღნიშნულ რიცხვზედ მეტი ყურის მგდებელი იქმნას მიღებული. კურსების შენობის სივიწროვისა გამო, მაინც 70, ან 50 ქალზედ მეტს ვეღარ მიიღებენ. 11 თხოვნა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთაგან შესულა. ლექციების კითხვა 2 სექტემბრიდგან დაიწყება.

— მთავრობას ნება დაურთავს შემდეგი ახალი ჟურნალ-გაზეთები გამოიცეს: ს.პეტერბურგში ყოველდღიური გაზეთი „საბიბლიოგრაფიო ფურცელი“ ნ. ა. პესოცკის რედაქტორობით, ყოველთვიური ჟურნალი

---

წუნიაობა „კვალისა“ იმასა ჰგავს, რომ ქაჩალი თხელს თმიანს მელოტობას უკიჟინებდეს.

მოთხრობა ტენდენციურიაო. ვინ ამბობს ამასა? ბ-ნი გიორგი წერეთელი, ის ვაჟ-ბატონი, რომელიც თავისს მთავარ მოქმედებაში ყურ-მოჭრილი ყმა იყო ვიწრო, წინდაუხედავი მყვირალა და მავნებელი ტენდენციისა. დიაღ, ჩემი მოთხრობა განსაზღრული მიზნით არის დაწერილი; მაგრამ ამ მიზანს არავითარი მსგავსება არა აქვს წერეთლისებურს ჰეროსტრატულს ტენდენციასთანა. იგი აგრეთვე არ ეკუთვნის იმ გვარ ნაწარმოებთა, რომელნიც არიან ნაყოფნი სუბექტიური კაპრიზისა, გუნებიერობისა და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ აერთებთ. ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოვოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას, სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისათვისაო. ამ პრინციპს შეიძლება ადგილი მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავახწევთ აწინდელს, მეტად საშიშარს ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველთ ცოდნით, გულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნევებს და უვსებს სასოებით მომავალზედ, ზნეს და ხასიათს უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში. არც ერთი სიტყვა სახელისათვის, ყოველი სტრიქონი ქვეყნის სიკეთისა და ქართველთა გაუკეთესოებისათვის. აი პრინციპი, რომელიც უნდა თვალ-წინ ედგას ჩვენში ყველას, ვინც კი საზოგადოებას ემსახურება თავისი კალმით.

რაში მდგომარეობს ტენდენცია ანუ მიზანი ჩემის პაწია მოთხრობისა? რა განზრახვამ დამაწერინა იგი?

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ კაი ხანია ალმოჩნდნენ საქართველოს კეთილის მყოფელნი, აშორდიები, რომელნიც მეგრელებს ჩასჩიჩინებენ: თქვენ ქართველები არა ხართ, განზედ გადექით, განცალკევდით, გასწყვიტეთ ქართველებთან ძველთაგან ძველი კავშირი. ბუნებისაგან შექმნილი და ღვთისაგან ნაკურთხი, დაარღვიეთო. სწორედ ამისთანავე კეთილის მყოფელნი ალმოუჩდნენ ბოლოს წლებში ჩვენს აღმოსავლეთის ძმებს-ინგილოებს, რომელნიც ჩასძახიან, რომ თქვენ ჩამომავლობით თათრები ხართო და არა ქართველებიო, წირვა-ლოცვა თქვენში უნდა სწარმოებდეს თათრულს ენაზედ, იმავე ენაზედ უნდა იბეჭდებოდეს თქვენთვის წიგნები თათრული ანბანითაო და სხვანი. ეს უცნაური და უკუღმართი წადილი მარტო საინგილოსათვის არ არის საშიში და მავნებელი. როგორც სამეგრელოს განშორება აზარალებს არა მარტო მეგრელებს, არამედ დაასუსტებს სხვა ქართველებსაც, ისე იმოქმედებს ინგილოების განცალკევება და მოწყვეტა ჩვენის ქვეყნის ბედზედ. იგი ღირსია დიდი ყურადღებისა და ჩვენი ლიტერატურა-კი ყურსაც არ იბერტყავს. ასე გასინჯეთ, რუსული გაზეთებიდგანაც ვერ გადმობეჭდავს ხოლმე იმისთანა სამართლიანს მსჯელობას საინგილოს შესახებ, რომელიც ძლიერ სასარგებლოა ამ მხრისათვის და ჩვენთვისაც. მაგალითად, ზაფხულის დამდეგში დაბეჭდილი იყო საინგილოს შესახებ „Недѣля“-ში წერილი, რომელშიაც ავტორი დიდს გულის წუხილს აცხადებდა: ინგილოებს, ჩამომავლობით და ენით წმინდა ქართველებს, ქართულს არ ასწავლიან სკოლებში, მარტო რუსულს ენას ანდომებენ დროსაო, და რადგან ამ უკანასკნელს ენას, სიძნელის გამო ვერა სწავლობენ ბავშვები, სკოლა გამოდის იმდენად უნაყოფო, რომ არც ქართულის წერა-კითხვის და არც რუსულის მცოდნე აქ არ მოიპოვებაო. ამის გამო მცხოვრებთა აღწერის დროს თვითონ პოლიცია იყო იძულებული სიებში თავისი ხელით ჩაეწერა ცნობანი ყველა ინგილოზედ, რამაც საქმე ძლიერ გააძნელა და დააგვიანაო. არც „კვალმა“ და არც სხვა ქართულმა პერიოდულმა გამოცემამ ყურადღება არ მიაქცია ამასა.

სწორედ ხსენებულმა უდიერმა და ყოვლად უსამართლო ტენდენციამ მაიძულა მე დამეწერა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. მოთხრობაში მე მსურდა, თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა-მაღლა მეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა, ღვიძლი ძმობა ქართველებთან, სიყვარული საქართველოსი და ერთგულება საერთო მეფისადმი. ლიტერატურულს წერილს ვამჯობინე ბელეტრისტული ფორმა, რადგან ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ეადვილება ხალხს, ბევრად უფრო გასაგებია, უფრო ცოცხლად და ძლიერად მოქმედობს მასზედ და დიდს ხანს რჩება მისს გონებასა და სახსოვარში. მე იმედი მაქვს, რომ ერთის წლის განმავლობაში ბევრი არ დარჩება საინგილოში ქალი, თუ კაცი, რომელსაც ჩემი მოთხრობა არ მოესმინოს და არ დაეხსომოს, სამწუხაროდ ღირსეულთა მეუღლეთა.

მე ვგონებ, რომ ჩემს გულისწადილს, მიზანს მოვეწიე, რამდენადაც ეს შეიძლებოდა პატარა მოთხრობაში და ამავე დროს არაფერი ვსთქვი იმისთანა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულს ფაქტებს, ქართულს ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტიულს შესაძლებლობას და ფსიხოლოგიას ხალხისას და მომქმედის პირებისას. ვგონებ იმასაც, რომ მოვახერხე მოთხრობისათვის მიმეცა აღმზრდელი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ჩვენს ხალხს აწინდელს მდგომარეობაში. ასე ვფიქრობ მით უმეტეს ახლა, როცა „კვალის“ კრიტიკანებმა ვერც ერთი ნამდვილი შეუსაბამობა ვერ აღმოაჩინეს მოთხრობაში, თუმცა ეს შეუსაბამობა უძებნიათ შიგ დიდი წყურვილით, სულ-წასულობით და მოუთმენლობით,—ამითი მათ ერთხელ კიდევ ისახელეს თავი მკითხველის საზოგადოების წინაშე უძლური ბოროტებით, და, იმედია, კვლავაც ისახელებენ.

იაკობ გოგებაშვილი

„საბეითალო წიგნთ-საცავი“ ვ. გ. ტატარსკის რედაქტორობით; მოსკოვში — „ცხოველების მფარველ რუსეთის საზოგადოების მოსკოვის განყოფილების ჟურნალი“ ნ. კოროტკოვის რედაქტორობითა და ყოველთვიური ჟურნალი „სამკურნალო მაჩვენებელი“ ექიმის ი. ვ. მიხაილოვის რედაქტორობით.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო მუზეუმთან პეტერბურგში სოფლის მეურნეობისათვის ცალკე განყოფილება გაჰმართოს, რომ მსურველთ შეეძლოთ სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და სხვა-და-სხვა ტიპის სამეურნეო სკოლების მოწყობილება გაიცნონ.

— ამ შემოდგომაზედ პეტერბურგის სამხედრო-იურიდიულს აკადემიაში მხოლოდ 30 ოფიცერს შეუძლიან შესვლა მთელის რუსეთის ყველა სამხედრო ოლქებიდგან, გარდა პეტერბურგისა.

— ზოგიერთს დამზღვეველს საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმის მსახურნი თავს იზღვევდნენ ხოლმე იმ შემთხვევისათვის, როდესაც ცეცხლის ქრობის დროს უბედურება რამ დაემართებათ ხოლმე.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ დორპატის საიმპერატორო უნივერსიტეტის სალვთის-მეტყველო ფაკულტეტზედ ორი ახალი კათედრა იქმნას დაარსებული — ესტონელთა და ლატიშთა მქადაგებლობისათვის.

— როგორც ფინლიანდიის გაზეთები იუწყებიან, ფინლიანდიაში ზოგიერთს ადგილას ტყეს ცეცხლი გაჩენია დიდის გვალვისა გამო.

რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიის მოთავეობით, უმაღლეს სასულიერო უწყებაში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ სოფლის სკოლებში გალობის სწავლების საქმე განკარგებულ იქმნას. სხვათა შორის, განზრახვა თურმე აქვთ ძველი საეკკლესიო გალობა აღადგინონ და ახალი საკონცერტო გალობა სრულიად განდევნონ.

— კიევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ბ-ნს გრენს ნებართვა მიუღია, რომ ახალი ყოველკვირეული გაზეთი გამოსცეს შემდეგის სახელით: „რუსეთი და აზია“. გაზეთს შემდეგი პროგრამმა აქვს: მოწინავე წერილები რუსეთის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთში, რუსეთის ქვეშევრდომ უცხო ერთა და რუსეთის დაშორებულ განაპირა ადგილების შესახებ; ყოველკვირეული ქრონიკა რუსეთის აღმოსავლეთით მდებარე განაპირა ადგილებისა: ციმბირისა, თურქესტანისა და კავკასიის შესახებ; რუსეთის დამოკიდებულება აღმოსავლეთთან, მისვლა-მოსვლა ერთმანეთში, სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები, არხივებიდგან ამოღებული და კავკასიიდგან გარეშე საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არხივიდგან და კიევის ცენტრალურ არხივიდგან გატანილი.

სამეცნიერო-სალიტერატურო ნაწილი. სამეცნიერო ადვილ-გასაგების ენით დაწერილი გამოკვლევანი და აღმოსავლეთის შესახებ წერილები, აღმოსავლეთის ძველ და ახალ ნაწარმოებთა თარგმანები, აღმოსავლეთისა და განაპირა ადგილების ეთნოგრაფია და არქეოლოგია, მოთხრობები, რომანები, ლექსები, პოემები, დრამატიულნი ნაწარმოებნი, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნები, რომლებიც აღმოსავლეთსა, აღმოსავლეთ რუსეთის უცხო ქვეშევრდომ ერთა და რუსეთის განაპირა ადგილებს შეეხებიან. გაზეთს დამატებაც ექმნება ამ სახელით: „Альманахъ Россіи и Азіи“, რომელშიაც აღმოსავლეთისა, თურქესტანისა, კავკასიისა და ციმბირის შესახებ საპოლიტიკო წერილები, ბელეტრისტული ნაწარმოებნი, თარგმანები და სამეცნიერო გამოკვლევანი იქმნებიან მოთავსებულნი.

## უცხოეთი

ისპანია. ისპანიის მინისტრ-პრეზიდენტის კანოვას დელ-კასტილიოს მკვლელობამ საშინლად ააღელვა ყველა ისპანიელი, დედოფლიდგან დაწყებული უკანასკნელ ხელოსნამდე. ხალხს მაშინვე უნდოდა თვით გასწორებოდა მკვლელს და თავისებურად გაესამართლებინა იგი, მაგრამ პოლიციამ ნება არ მისცა და მკვლელი უშიშარს ადგილას მიჰმალა. განსაკუთრებით ამ მკვლელობამ დიდათ დააღონა იმ დასის მომხრენი, რომლის წინამძღოლადაც კანოვასი ითვლებოდა. არა ნაკლებ შესწუხდა თვით ისპანიის დედოფალი, რომელმაც წერილით დიდი თანაგრძნობა და მწუხარება გამოუცხადა კანოვასის მეუღლეს. კანოვასის მკვლელი მიქელ ანჯოლილო, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, დაიბადა 1871 წელს. ანჯოლილო იტალიელია და წინად სამხედრო სამსახურში იყო, მაგრამ რადგანაც უწესოდ იქცეოდა და უფროსებს არ ემორჩილებოდა, ზნეობის გამასწორებელ რაზმში იქმნა გაგზავნილი, სადაც სამი წელიწადი დაჰყო. შემდეგ სამხედრო სამსახურს თავი გაანება და ასოთ-ამწყობობა დაიწყო. ანჯოლილო ჯერ ისევ ცხრამეტის წლისა იყო, როდესაც მონაწილეობას იღებდა ანარქისტულ და სარევოლიუციო საქმეში. 1895 წელს მან სახელმწიფოს საწინააღმდეგო წერილები დაჰბეჭდა, რის გამოც ნახევარის წლით ციხე გადაუწყვიტეს, მაგრამ მან გაქცევა მოასწრო და მარსელში გაჩნდა, სადაც ანარქისტებს შეუერთდა, მაგრამ მარსელში ბედმა არ გაუღიმა და 1895 წლის გასულს ყალბი ბაშბორთით ისპანიის ქალაქ ბარსელონაში გაჩნდა. იქ ის პანიის ანარქისტებს დაუახლოვდა და სხვა ქვეყნის ანარქისტებთანაც დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა. ბევრი იმასაც ჰფიქრობს, რომ ანჯოლილომ თავის ნებით არ მოჰკლა კანოვასი, არამედ კენჭის ყრით შეხვდა მას ამ საქმის სისრულეში მოყვანა. მკვლელობა ასე მოხდა. კანოვასი სასტუმროში იყო ჩამომხტარი და შუადღისას სასადილო ოთახში წავიდა თავის მეუღლითურთ სადილის საჭმელად. გზაზედ ქ-ნი კანოვასი ნაცნობმა შეაჩერა და ლაპარაკი დაუწყო, თვით კანოვასმა-კი დერეფანზედ გაიარა, საიდგანაც სასადილო ოთახში უნდა შესულიყო, მაგრამ დერეფანში ვიღაც კაცი დახვდა, რომელმაც ჯიბიდგან რევოლვერი ამოიღო და ოთხჯერ ესროლა მინისტრს. მეოთხედ რომ გაისროლა უცნობმა, დაიყვირა: „გაუმარჯოს იტალიასაო!“ რევოლვერის ხმაზედ ჟანდარმების აფიცერი და ჯარის-კაცები მოცვივდნენ და მკვლელი გააკავეს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მკვლელი წინადაც ხვდებოდა ხოლმე გზაში მინისტრს და თავს უკრავდა. ერთხელ კიდეც ჰკითხა კანოვასმა თავის მდივანს: „ვინ არის ეგ კაცი, ეგრე თავაზიანად რომ თავს მიკრავსო“. მდივანმა მიუგო, რომ ვიღაც უცნობი იტალიელიაო.

ეხლაც, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტის სადი-კარნოს მოკვლის დროს, გაზეთები ხელახლა აალაპარაკეს ანარქისტებმა. მათის აზრით, საჭიროა ევროპის სახელმწიფოებმა რაიმე იღონონ ანარქისტების წინააღმდეგ და ბოლო მოუღონ იმათს მოქმედებას. გაზ. „Gaulois“-ში დიდი წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც ვიღაც დიპლომატი ამბობს, რომ ევროპის სახელმწიფოებმა საერთა-შორისო ცნობები უნდა გამოსცენ ანარქისტებისა და ანარქიზმის წინააღმდეგაო. გაზეთის სიტყვით ამ საქმის მეთაურობა ისპანიამ, ან გერმანიამ უნდა იკისროს და რუსეთი, იტალია და ავსტრი-უნგრეთი დიდის სიამოვნებით შეუერთდებიან იმათაო. რუსეთის ხათრით, არც საფრანგეთი იტყვის უარს და ამ რიგად მარტო ინგლისი დარჩება, რომელიც არას გზით არ მიიღებს მონაწილეობას ამ საერთო საქმეშიო. ავტორის აზრით, ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა მხოლოდ ევროპის რომელსამე სატახტო ქალაქში შეიყარნენ ელჩები და ერთმანეთში მოილაპარაკონ იმის შესახებ, რა გვარი კანონები უნდა იქმნას შემუშავებული და საერთოდ რა გზას უნდა დაადგეს ევროპა ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება ისპანიის შინაურს საქმეებს, კანოვასის სიკვდილის გამო არავითარი ცვლილება არ მოხდება, რადგანაც, როგორც გაზეთები იუწყებიან, მმართველობა ისევ კონსერვატორებს ჩაუვარდებათ ხელში. თუმცა კანოვასის სიკვდილის რამდენისამე დღის წინად ლიბერალთა წარმომადგენელი საგასტა თანახმა იყო მინისტრ-პრეზიდენტობა ეკისრა, მაგრამ ეხლა უარს იტყვის ამ თანამდებობაზედ, რომ არავინა სთქვას, კანოვასის სიკვდილით ისარგებლა და ხელში ჩაიგდო მმართველობაო. გაზეთების სიტყვით, ლიბერალები იმ დრომდის მოიცდიან, ვიდრე თვით პოლიტიკა არ აიძულებს კონსერვატორებს უარი განაცხადონ მმართველობაზედ და ამ რიგად თვით აღიარებენ თავიანთ უძლურებას და უღონობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში.

## ნაკვესი

ერთი ექიმი ყველა თავისს ავადმყოფებს წამლად წყალს უწერდა. ერთხელ ეს ექიმი გემიდგან უცაბედად ზღვაში გადავარდა. ზღვაოსანი მივიდა და ასე აცნობა ეს ამბავი გემის უფროსს:

— ჩვენი ექიმი თავისის წამლების ყუთში ჩავარდაო!

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში, 3—4 თვის წინად, ფობურგ-პუასონიერის ქუჩაზედ ერთს სახლში იდგა 25 წლის ქალი ქ-ნი მარეშალი, ამ ქალსა ჰყავდა 17 წლის გასათხოვარი და ლუიზა. თვით ქ-ნი მარეშალი კმაყოფილი არ იყო ცხოვრებით. მისი ქმარი ჭკუაზედ შეიშალა და სულით ავადმყოფთა სამკურნალოში იყო. ქ-ნ მარეშალს სიცოცხლე მოსწყინდა და სიკვდილი დიდს ბედნიერებად მიაჩნდა. დღეს ელაპარაკა ამაზედ, ხვალ, ზეგ და ბოლოს თვისი ახალგაზდა დაც დაარწმუნა, სიცოცხლე ტანჯვად არა ჰღირს, სიკვდილი სჯობიანო. შემთხვევით ამ ქალების მაღაზიაში მუშაობდა სამი ქალი: ალისა გონტი, ემილია შიო 26 წლისა და ბერტა სუზგარდი 24 წლისა. ამ ორს უკანასკნელს ქალსაც ბედი არა სწყალობდა. ერთს მათგანს, ბერტა სუზგარდს ქმარმა თავი დაანება, მეორეს სატრფო ჰღალატობდა. ყველას მობეზრებული ჰქონდა სიცოცხლე. საკმარისი იყო მხოლოდ მცირე რამ შემთხვევა. ბოლოს ქ-ნ შიოს საყვარელმა თავი გაანება. ქალებმა გადასწყვიტეს თავი მოვიკლათო. ერთხელ დილით ალისა გონტი სამუშაოდ მოვიდა და კარი დაკეტილი დახვდა. იმ წამსვე გულმა უგრძნო, რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყოსო. დაუძახეს პოლიციას და ჰნახეს, რომ სამივე ქალი მკვდარი იყო. თურმე ნახშირი დაელევებიათ და იმის სუნით დაჰრჩვალან. მეზობლებმა სთქვეს, წუხელის დიდი მზადება ჰქონდათ, ივახშმეს, იმხიარულეს, იმღერეს და მერე დაიძინესო.

***

ბერლინის ერთს გაზეთს შეუკრებია ცნობები შესახებ იმისა, რა წიგნებს კითხულობენ ეხლა გერმანიაში. სასტატისტიკო ცნობებიდგან აღმოჩნდა, რომ ყველაზედ დიდი მუშტარი ჰყავს შილლერის წიგნს „ვილჰელმ ტელლი“. მეორე ადგილი უჭირავს გეტეს წიგნს „გერმანი და დოროტეა“. მესამე — „აივენგო“ ვალტერსკოტისა, მეოთხე — „პიკვინკის კლუბის წერილები“ დიკენსისა. ამ გვარად აღმოჩნდა, რომ ძველი მწერლები უფრო მეტად ჰყვარებიათ გერმანელებს, ვიდრე ახლები.

* * *

ამერიკაში ერთს ახალგაზდა ქალსა და კაცს მღვდელმა ჯვარი იმ დროს დასწერა, როდესაც ორთავენი ჰაეროსტატში ისხდნენ. ჰაეროსტატი მომზადებული იყო ასაფრენად. გაათავა თუ არა უკანასკნელი სიტყვები მღვდელმა, ჰაეროსტატი აუშვეს და სისწრაფით გაფრინდა მდინარესაკენ. ქალს შეეშინდა და მდინარეში გადახტა. ახლად ჯვარ დაწერილი ქალი ნავით გამოიყვანეს. ქმარი ჰაეროსტატით ავიდა კარგა დიდს სიმაღლეზედ, მშვიდობიანად ჩამოვიდა და იმ წამსვე თხოვნა გაგზავნა, სადაც ჯერ არს, ჩემ ცოლთან გამყარეთ, რადგანაც ვერაფერი მეუღლე იქნება ჩემი, რაკი ჰაეროსტატიდგან გადმოხტა და თავი დამანებაო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 აგვისტო

**კონსტანტინოპოლი.** პოლიციის სამმართველოში, პერეში ყუმბარა ისროლეს, მაგრამ არ აფეთქდა.

ოტტომანის ბანკშა ორი საეჭვო კაცი შეიპყრეს, რომელთაც ევროპიულად ეცვათ და დინამეტი აღმოაჩნდათ.

პორტას ერთს გვერდის ეზოში, რომელის დიდს სავეზიროსა დი სახელმწიფო საბჭოს შენობას აერთებს, დინამიტი ააფეთქეს. რამდენიმე ადგილას ფანჯარაში შუშები ჩაამტვრია და მცირე ზარალი მოჰყვა. ამბობენ, რამდენიმე კაცია დაჭრილიო. აფეთქების მიზეზად სომხებს ასახელებენ. ხალხი შეშინებულია. მაღაზიები დაიკეტა, მაგრამ მალე ისევ გააღეს და საღამოთი ყოველივე დაწყნარებული იყო.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ აუწყებენ დეპეშით სიმლიდგან, რომ აფრიდისა და ორაქსაის ტომთა აჯანყებისა გამო ჯარების დანარჩენი რაზმები პეშავერას იქმნენ გაგზავნილნიო.

„დაილი ტელეგრაფს“ აუწყებენ კონსტანტინოპოლიდგან, რომ საბერძნეთის ელჩმა ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი უკვე იშოვა და 40 დღის განმავლობაში კიდევაც ჩააბარებენო.

**მოსკოვი.** 7 აგვისტოს დიდს თეატრში ექიმთა საერთაშორისო კრების პირველი საზოგადო სხდომა მოხდა.

**კონსტანტინოპოლი.** ოფიციალური ცნობა იუწყება: „გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზედ, პორტას ცერემონმეისტრის კანცელარიის დერეფანში ყუმბარა ააფეთქეს. მსახურთაგანი ერთი მოკლულ იქმნა, სამი დაჭრილია; ამავე დროს მეორე ყუმბარა გალატ-სერალში ისროლეს, მაგრამ არ აფეთქებულა. ორთავე აფეთქების მიზეზი ორი სომეხი იყო, რომელნიც მაშინვე შეპყრობილ იქმნენ. მესამე სომეხი ოტტომანის ბანკში შეიპყრეს იმ დროს, როდესაც ყუმბარასათვის პატრუქი უნდა მოეკიდებინა. გამოძიება სწარმოებს, მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნა.

**მადრიდი.** გამოცხადებულ იქმნა, რომ ანჯილილო სიკვდილით იქმნას დასჯილი. დამნაშავეს ხვალ დასჯიან.

**კონსტანტინოპოლი.** პორტამ ყველა გუბერნატორებსა და ჯარების უფროსებს სასტიკი ბრძანება გაუგზავნა, რომ სტამბოლში მომხდარ აფეთქებისა გამო არსად სომხების წინააღმდეგ არეულობა არ მოხდეს და მშვიდობიანობა არაფრით დაირღვას. კონსტანტინოპოლშიაც ასეთივე საშუალებანი იღონეს. იმედია, არსად არეულობა არ მოხდება. ვაჭრობა სწარმოებს.

ოტტომანის ბანკში შეპყრობილმა სომეხმა სთქვა, სახელად კარაპეტა მქვიან და ორი დღეა, რაც რუსეთიდგან ჩამოვედიო. მაგრამ დამნაშავეს ფოტოგრაფიული სურათები უპოვნეს, კონსტანტინოპოლში გადაღებული, რომლებიც ამ ჩვენებას ეწინააღმდეგებიან. იგი უფრო ადრე უნდა იყოს ჩამოსული. დამნაშავე აღარავითარს პასუხს არ იძლევა გამომძიებლის კითხვაზედ.

პორტაში აფეთქებული ყუმბარა ფანჯარიდგან ისროლეს. ის ხმა, ვითომ აფეთქებაში ახალგაზრდა ოსმალოთაც მიეღოთ მონაწილეობა, ტყუილია. ყველა ამის დამნაშავენი სომხები არიან.

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Августъ 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.